# დროება

№ 89 შაბათი, 24 აპრილი 1910 წ. № 89

ყოველდღიური-საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. [illegible] არიან, ან მთავარი [illegible]თ, მიიღება მხოლოდ [illegible]და ამხ.—ის განცხადე[illegible]ღვში, მიასნიცკის ქ., ს. [illegible]: პეტერბურგში—მორ[illegible]ვის ქ. 130, პარიზში— [illegible]

[illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.
რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция газ. „ДРОЭБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



კვირას, 25 აპრილს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში [illegible] გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებული [illegible]

ანნა იუნის ასული პატარშვილი-ხიხინაის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ [illegible] წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. [illegible] პანაშვიდი 11 საათზე. (1—264—1)

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვარი [illegible]

დეკანოზი იოანე იოსებ ძე მჭედლიშვილი

გარდაიცვალა, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმის წულები და დისწულები. დასაფლავება მოხდება 23 აპრილს საგვარეულო სასაფლაოზე მცხეთის ტაძრის გალავანში. (2—258—2)

ქვრივი მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 აპრილს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მეუღლის

დავით ბესარიონის ძის ლოლობერიძის

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ, განსვენებულის საფლავზე. (2—252—2)

## ქართული თეატრი

შაბათს, 24 აპრილს ვასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

„გაქოტრებული აზნაური"

კომედია 4 მოქმ. თარგმანი ვ. ა. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
რეჟისორი ვ. აბაშიძე

კვირას, 25 აპრილს, ნინო ჩხეიძის მონაწილეობით

„სტუდენტის სიყვარული"

(დღენი ჩვენის ცხოვრებისა)

პიესა 4 მოქმედ. ანდრეევისა, იმედაშვილის თარ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
რეჟისორი ვალ. გუნია.

## სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 25 აპრილს, ა. თ. პავლოვი წაიკითხავს ლექციას

ჰაერში ფრენა

ლექციის დროს აჩვენებენ სურათებს, მანქანებს და აპარატებს. ლექციის შემდეგ გაიმართება უფასო კონცერტი: წაიკითხავენ ლექსებს ქართულად და რუსულად, ძმები პალცევები დაუკრავენ სკრიპკაზე და სხვა.

დასაწყისი დილის 11 საათზე. ფასები 5—10 კაპ.

კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

განყოფილება პირველი:

შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის

საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით

საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის

განყოფილება მეორე:

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის" (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

განყოფილება მესამე:

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. ცხენი, ძროხა, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

განყოფილება მეოთხე:

ფეიერვერკი? — ჟ ი ნ ჟ ლ ი ლ ა შ უ შ ხ უ ნ ე ბ ი

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

ბუფეტი; ჩაი, ყვავილები, სერპანტინი (8—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. ბ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ვ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცია და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—325)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი სწოლი და საშუალო [illegible] ღია არის ყოველ დღე [illegible] ავადმყოფთათვის. [illegible] ქუჩ. სახლი № 7 [illegible] ტელეფონი № 590.

[illegible]

[illegible] მება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—5.—160)

დაიბეჭდა და მალე დაურიგდება ხელის მომწერთ

BATON-ის წიგნი:

„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრივ"

ვისაც წიგნზე ხელი არ მოუწერია, შეუძლიან იყიდოს „დროების" კანტორაში, წ.-კ. საზოგადოების ან სხვა წიგნის მაღაზიაში. წიგნი ღირს ექვს აბაზად. (3—1)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—25)

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულოზით წამლობა პლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—54)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—418)

ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—27

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—167)

ექიმი შ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზბეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—77)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—48

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—109

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გოლოვინის ქ., № 9. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე 1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—2

პიესები

იყიდება წერა-კითხვის გამავრც. საზ. მაღაზიაში

„მამა და შვილი".

„კოცნა პირველი და უკანასკნელი".

„მეფე ფერხთა".

„ცოდვა".

„ჩვენებური ადუკანტი".

„წუწკილი"?. (3—2)

ტფილისის სობრანიე

შაბათს, 24 აპრილს, 1910 წელს

საოჯახო საღამო

დაუკრავს საზანდარი.

სტუმრებს შეუძლიანთ შესვლა საზოგადო წესით. უნდა გადაიხადონ 1 მანეთი. (1—1052—1)

ქ. გორის ქალაქის თვით-მართველობა

(უპრავა)

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ გორის საქალაქო აფთიაქიდან, რომელიც მოთავსებულია სამეფო ქუჩაზე, ქიტიაშვილის სახლში, უფასოდ ეძლევათ წამლები ღარიბებს მოქალაქეთ, და აგრეთვე გორისა და მის მაზრის მცხოვრებთ ეთმობათ წამლები ღირებულობაზე ნაკლებ ფასად, რათა ამით ხელმისაწდომი გახდეს წამლობა ყველასათვის, რომელთათვის ზრუნვაც ევალება ყველა ქალაქის თვითმმართველობას.

ქ. გორის მოურავის მაგიერი ლოლაძე. (2—263—1)


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აპრილი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს კანეიდან ატყობინებენ: კონსულებმა კრიტეს მთავრობას წინადადება მისცეს, რომ ეროვნულ კრების წევრებისთვის რჩევა მიეცა, არ მიიღონ ფიცი საბერძნეთის მეფის ერთგულობაზედ. ამაზედ გარეშე საქმეების კომისარმა კონსულებს აცნობა, ეროვნულ კრებას 1908 წლის 30 სექტემბრის დადგენილების თანახმად ჩვენ ასეთ რჩევას ვერ მივსცემთ ქრისტიან დეპუტატებს, რაც შეეხება მაჰმადიან დეპუტატებს, მათ ასეთი რჩევა უკვე მივეცით.

**პარიზი.** სასამართლომ გაარჩია ლიაბეფის საქმე. ბრალდებოდა 26 იანვარს პოლიციელის მოკვლა და ექვსი კაცის დაჭრა. ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ იცნეს ლიაბეფი და სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

**ტოკიო.** დაიწვა ქალაქი აომორი. 9500 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

**ქრისტიანია.** ნობელის კომიტეტის კრებაზედ რუზველტმა სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო მშვიდობიანობაზედ. უპირველეს ყოვლისა, რუზველტმა მადლობა გადაუხადა კომიტეტს მშვიდობიანობის პრემიის დანიშვნისათვის და სთქვა: ოქროს მედალს, რომელიც კომიტეტმა მომცა, შვილებს გადავცემ, როგორც ძვირფას მემკვიდრეობას. რაც შეეხება მიღებულ ფულს, მე საჭიროდ დავინახე ეს ფული მოვახმარო მუშათა და მრეწველთა მორიგების საქმეს. მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ გახდება უდიდეს სიკეთედ, როდესაც იგი სამართლიანობის მსახური გახდება. იმ დროს კი, როდესაც მშვიდობიანობა ჰფარავს სულმდაბლობას და სიზარმაცეს და იარაღი ხდება დესპოტიზმის და ანარქიის დასამყარებლად, მაშინ მშვიდობიანობა ბოროტებაა. ჩემის აზრით, მშვიდობიანობის იდეის პროპაგანდამ დიდი ნაყოფი გამოიღო. პირველი, რაიც ხელს უწყობს მშვიდობიანობის იდეას, ეს გახლავთ სამედიატორო სასამართლოების შესახებ დადებული ხელშეკრულებანი; მათ შეუძლიანთ მოაწესრიგონ ის საკითხები, რომლებიც კონფლიქტს იწვევენ. ამას გარდა, მშვიდობიანობის იდეის განმტკიცებას ხელს შეუწყობს ჰააგის სასამართლო. პირველმა ჰააგის კონფერენციამ აღნიშნა ერების თავისუფლების დიდი ხარტია, დასახა ის იდეალი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფებოდეთ. მეორე კონფერენციამაც ბევრი რამ გააკეთა; ეხლა რიგი მესამე კონფერენციაზედ არის მიმდგარი. შეერთებულ შტატებს არა ერთხელ და ორჯერ აღუნიშნავთ ის ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჰააგის სასამართლოს გამოკეთებას და ამრიგად კონფერენცია უფრო მეტს სარგებლობას მოიტანდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროპის, ამერიკის და აზიის მთავრობები ხელს შეუწყობენ ამავე მიზანს. როგორც შეერთებულ შტატებში უმაღლესი სასამართლო აწესრიგებს ფედერაციის სხვა და სხვა შტატების ურთიერთობას, ისე ჰააგის კონფერენციამ უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფოების ურთიერთობა. მშვიდობიანობის იდეის გავრცელებას აგრეთვე ხელს შეუწყობენ: საერთაშორისო ხელშეკრულობანი შეიარაღების განსაზღვრის შესახებ. ამის მიღწევა მაინც და მაინც ძალიან ძნელია. ის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც გადასწყვეტდა ამ პრობლემას, ღირსია მთელი კაცობრიობის მადლობისა და კაცობრიობაც ისე არ დაჰტოვებდა ამ ღვაწლს.

### აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** ჩრდილოეთ ალბანეთში აჯანყება ძლიერდება. ზემო მორავში ჯარს და ალბანელებს შეტაკება მოსდით. შედეგი ჯერ გამორკვეული არ არის. ალბანელთა მთავარი ძალები ხელმეორედ თავს იყრიან ჩერნოლევის გასავალთან. სულ შეკრებილია 10,000 კაცი. პრიზრენთან მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია, ტელეგრაფი აღარ მუშაობს. ფერიზოვიჩში, კაჩანიკთან მდგომი ჯარი აიყარა და სადღაც წავიდა. უსკიუბში ახლად ჩამოსულ ჯარს ორ ნაწილად ჰყოფენ და გზავნიან: ერთ რაზმს დასავლეთისკენ, ტეტოვუს მხარისკენ და აქედან პრიზრენისკენ, მეორეს—ჩრდილოეთისკენ, პრეშოვის მხრით გილიანის ოლქისკენ. ჯარს დავალებული აქვს ზემო მორავიდან ალბანელები განდევნოს. დიაკოვი გარს შემორტყმულია. დიაკოვოში სულ ექვსი ბატალიონი სდგას და გარს ალბანელები არტყიან. მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია, ტელეგრაფი აღარ მუშაობს. კაჩანიკის გასავალთან მომხდარ ომის დროს ალბანელებმა ხელში ჩაიგდეს აურიცხველი იარაღი, ტანსაცმელი და ფული, მაგრამ სამაგიეროდ დაჰკარგეს 500 კაცი. ოფიციალური ცნობით ჯარს დაუკარგავს სამი აფიცერი და 30 სალდათი. მონასტირის ვილაეთის ჩრდილოეთის ნაწილში გაჩნდნენ ალბანელთა ბრბოები და ხალხს აღელვებენ.

უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს გადაეწყვიტოს შეადგინოს თავისუფალ მეომართა რაზმები და მთავრობის ჯარს დახმარება გაუწიოს ალბანელთა დამშვიდებაშიო.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. ზოგიერთმა დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ ალბანეთში გაგზავნილიყო საპარლამენტო კომისია. ამის წინააღმდეგ წავიდა დიდი ვეზირი, რომელმაც სამი საათი ილაპარაკა და გამოარკვია ალბანეთის მდგომარეობა. მან სთქვა: მხოლოდ პრიშტინის და იპეკის ოლქებშია აჯანყება. ალბანეთის დანარჩენ პროვინციებში კი არ არის აჯანყება. ტყუილია ის, ვითომ ალბანელებს უცხო სახელმწიფო აქეზებდეს. ალბანელების დამშვიდება მხოლოდ და მხოლოდ ჯარის საშუალებით შეიძლება და ამას ხელს შეუშლის საპარლამენტო კომისიის გაგზავნა. ჯარი სასტიკად არ იქცევა, პირიქით ტურგუტ-ფაშა ალბანელებს ძმურად ექცევა. როდესაც ალბანელები დამშვიდდებიან, მაშინ ალბანეთში გაიგზავნება კომისია. იმედი მაქვს, რომ ალბანეთში მალე დავამყარებთ მშვიდობიანობასო. დასასრულ დიდმა ვეზირმა ითხოვა, რომ უკუ ეგდოთ საპარლამენტო კომისიის გაგზავნის შესახებ წინადადება და მოითხოვა ნდობის გამოცხადება. დეპუტატთა პალატამ უარჰყო წინადადება. კრიზისი მოსალოდნელი აღარ არის.

**სალონიკი.** ხუთი დღის განმავლობაში ჯარს და ალბანელებს შეტაკება მოსდიოდათ. მხოლოდ 21 აპრილს დროებით ზავი ჩამოაგდეს. მთავრობის კომისიას მოლაპარაკება აქვს ალბანელებთან. იქვე იმყოფება პრიშტინის მუსტესარიფი. ჯერ არაფერი იციან, თუ რა შედეგი მოჰყვა მოლაპარაკებას. შეტაკების დროს ალბანელებმა ხელთ იგდეს აურიცხველი იარაღი, ტანთსაცმელი და ერთი რაზმის უფროსის კარავიც კი. მათ დაკარგეს რამდენიმე ასი კაცი. ჯარის ზარალი გამორკვეველი არ არის.

### სპარსეთი

**თეირანი.** შირაზში გამოაცხადეს, რომ სოულედ-ულ-დოულემ, შეიხმა გაზალიამ და ბუშტი კუსის ვალიმ კავ-

შირი შეკრეს. კავშირის მიზანია განამტკიცოს კონსტიტუციონური წესწყობილება, დაიცვას მეჯლისი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მეჯლისს კავშირმა უნდა გაუწიოს კანტროლი. კავშირმა სხვა თემების უფროსებსაც მისცა წინადადება ჩაეწერნენ კავშირში. კავშირს სერდარასადის საწინამდღეგო ორგანიზაციად სთვლიან.

**ურმია.** ქურთების ბეგი მირ-მამედი, რომელის საკუთრებასაც შეადგენს უროზა-ჩაის სარწყავი არხები, ფულს ართმევს იმ მემამულეებს, რომლებიც ამ არხებით სარგებლობენ. ადგილობრივ ადმინისტრაციას წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიან.

### რ უ ს ე თ ი

**ასტრახანი.** ტრამვაის დეპოში შეცვივდა 12 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი, მაგრამ მხოლოდ 18 მანეთის გატაცება მოასწრო, რადგან შეეშინდათ ტელეფონის ზარების რეკისა.

**კალუგა.** დაიწვა გონჩაროვების ქაღალდის ქარხნის დიდი ნაწილი. ზარალი 120,000 მანეთს უდრის.

**ტულა.** დააპატიმრეს ის ტუსაღები, რომლებიც 20 აპრილის ადგილობრივ სატუსაღოდან გაიქცნენ.

**პეტერბურგი.** 22 აპრილს დაიწყო მწერალთა მეორე კრება. კრებას მიესალმა კრების ორგანიზატორი გრადოვსკი, რომელიც ერთხმად საპატიო წევრად აირჩიეს. შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს ქილკინი. ილაპარაკეს ქილკინმა და არაბაჟინმა. შემდეგ წაიკითხეს სხვა და სხვა სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებათა და გაზეთების მილოცვები. კრება 28 აპრილამდის გასტანს.

**კალუგა.** სოფელ პოდბუჟში დაიწვა 104 სახლი, 24 ამბარი და სახაზინო არყის დუქანი. ცეცხლში დაიწვა სამი კაცი.

**ჰელსინგფორსი.** 21 აპრილს სავაჭრო საზოგადოების სადგომში გაიმართა ნავთსადგურში მდგომ გემების კაპიტანთა და სხვა მეზღვაურების კრება. კრება გახსნა კაპიტანმა ლორმა და განაცხადა ზოგიერთ უცხოეთის გემების კაპიტნებმა გადმომცეს, რომ თუ ლოცმანთა უწყება რუსეთის ადმინისტრაციის ხელში გადავიდა, მაშინ შესაძლებელია გემების, ხალხის და საქონლის სვე ბედი რუსის ლოცმანების ხელში გადავიდეს, რაიც არა სასურველიაო. ამასვე ამბობენ ფინლიანდელი კაპიტნები და მე როგორც საზღვაო ბიუროს დირექტორი მოვალე ვიყავი კრება მომეწვიაო. კრებამ დაადგინა, წერილებით მიმართოს სენატს და შეატყობინოს კრებაზედ გამოთქმული შიში. ქალაქ იაკობსტადის ლოცმანებმა გადასწყვიტეს, თუ ლოცმანთა უწყება რუსეთის ადმინისტრაციის ხელში გადავიდა, ყველამ სამსახურს თავი მივანებოთო.

**პეტერბურგი.** ქალთა ვაჭრობის საწინააღმდეგო კრებამ საჭიროდ დაინახა, რომ კანონით დაცულ იქმნეს მუშა-ქალთა მდგომარეობა, რისთვისაც, სხვათა შორის, უნდა დაინიშნონ ქალი — ინსპექტორები, რომლებიც მოვალენი იქნებიან ქარხნებში და სახელოსნოებში თვალყური ადევნონ მუშა-ქალების მდგომარეობას. კრებამ აგრეთვე საჭიროდ დაინახა, რომ დაცულ იქმნეს ბავშვთა მდგომარეობა. კრებამ მსჯელობა იქონია საიდუმლო პროსტიტუციის გავრცელებაზედ და აღნიშნა, რომ საიდუმლო პროსტიტუციის გავრცელებას კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ ქარხნებსა და სახელოსნოებში თვალყურს არავინ ადევნებს მუშა ქალებს და ბავშვებსო. კრების აზრით, საჭიროა დაარსდეს დროებითი თავშესაფრები სოფლიდან ჩამოსულ ქალებისათვის, მოეწყოს ისეთი დაწესებულებები, რომლებიც რკინის გზების სადგურებზე კაცებს იყოლიებენ და ეს კაცები ხელმძღვანელობას გაუწევენ სოფლიდან ჩამოსულ ქალებს. ამას გარდა, სოფლებში უნდა გავრცელდეს აზრი, თუ რა ხიფათი მოელით ქალებს ქალაქებში და სხვა. ამას გარდა კრებამ მავნებლად და ხალხის გამრყვნელად იცნო საროსკიპო სახლების არსებობა. და დაადგინა სთხოვოს ქალთა უფლების დამცველ საზოგადოების კომიტეტს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ დაიხუროს საროსკიპო სახლები.

**პეტერბურგი.** მწერალთა კრებამ სალამოს სხდომაზედ მოისმინა ორი მოხსენება კრანიხფელდისა და ლებედევისა. კრანიხფელდი თავის მოხსენებაში შეეხო კაპიტალის გავლენას რუსეთის ბეჭდვითი სიტყვაზე და აღნიშნა, რომ კაპიტალი ჰრყვნის ბეჭდვითი სიტყვასაო. ლებედევი შეეხო პრესს-ბიუროს მოქმედებას და აღნიშნა, რომ პრესს-ბიურო ჰრყვნის პროვინციალურ პრესსასაო. რეზოლიუციის გამოტანა 24 აპრილისთვის გადასდეს.

## ერთი ნიმუშიც...

ბევრი რამ დაიწერა ჩვენ ადგილმამულზე, ბევრი ითქვა, რომ მიწა-წყალი გვეცლება ფეხ-ქვეშიდან და ჩვენ-კი ხელს არ ვანძრევთო; კიდევაც ბევრი დაიწერება და ითქმის, ვიდრე გავინძრევით და პრაქტიკულად მოვაწყობთ რამეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენ ჩუმათა ვართ და სხვებს-კი ჩხუბი მოსდით, სხვები ეცილებიან ერთმანეთს ჩვენი მიწა-წყლისთვის, ყველა ამის შემდეგ რა საბუთი გვაქვს ვუსაყვედუროთ გაზ. „გოლოს კავკაზა", რომელიც ამას წინად დემონურის კმაყოფილებით დაგვცინოდა და იძახდა: „საქართველო საჯარო ვაჭრობით იყიდება, არამიანცი ამდენსა და ამდენს იძლევა; ვის გინდათ ზედ მეტის მიცემაო"...

ამ რამდენიმე დღის წინად შემხვდა სამი გლეხი, რწმუნებულად გამოგზავნილი კახეთში (სიღნაღის მაზრაში) ჩასახლებულ მალაკანთა სოფლის ნოვო-ალექსანდროვსკიდან. ეს მალაკნები ჩასახლებულან კახეთში ამ რამდენიმე წლის წინად და როგორც მუყაითი და ფხიზელი ხალხი, აგრეთვე უხვ-ბუნების წყალობით, გვარიანად შეძლებულად სცხოვრობენ. ეხლა ჩვენში მომქმედ ჭეშმარიტ-რუსთა გადმომსახლებელ სამმართველოს მოუსურვებია (შარშან წინიდან), ამ შედარებით ფხიზელ მალაკნებისათვის მიემატებინათ 12 ახლად ჩამოსული რუსის ოჯახი. ჩვენებურ გლეხს მრავალი წლის განმავლობაში უხდება ღიჭინი ორიოდე დესეტინა სახაზინო მიწის არა თუ ნადელად, იჯარით აღებისათვისაც, შორეულ მხრიდან გადმოსახლებულთათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ისინი „ტუზემცები" არ იყვნენ, მათთვის გაუჩენელსაც კი გააჩენენ. ამ 12 კომლ გადმოსახლებულთათვის გადმომსახლებელ სამმართველოს მიუცია სამასიოდე დესეტინა სახაზინო მიწა, ნოვო-ალექსანდროვსკის მომიჯნავედ მდებარე; ხოლო ნოვო-ალექსანდროვსკელებისთვის წინადადება მიუციათ, მიიღონ თავიანთ საზოგადოებაში 12 კომლიც. სოფლის სახელით დაუწერინებიათ აგრეთვე ახალ მოსულთა მიღების განაჩენიც. მაგრამ, როგორც ირწმუნებოდა მთავრობასთან საჩივლელად ჩამოსული ნოვო-ალექსანდროველების სამი რწმუნებული, ის განაჩენი, საზოგადოების მაგიერ, სულ რამდენიმე კაცის მიერ არის ხელ მოწერილი და ჩვენ, ნოვო-ალექსანდროვსკელებს, არამც და არამც არ გვინდა ამ 12 ოჯახის მიღებაო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ სოფლის და მამულების მოწყობაში დიდი შრომა და ფული დავხარჯეთო (მარტო წყლის საყვანი ათი ათას მანეთზე მეტი დასჯდომიათ), მეორე—ჩვენი სოფლის მცხოვრებნიც შესამჩნევად გამრავლდნენ და ის თავისუფალი ადგილი უპრიანი იქმნება ჩვენვე მოგვიზომონო, მით უმეტესს, რომ ახლად ჩამოსახლებულები მომუშავენი არიან და მიწას არც იმდენად საჭიროებენ, რადგან თითქმის მთლად ახლად მოზომილი მიწა იჯარით გადასცეს **ვიღაც ქართველებს** და თვითონ კი, თუ დღიური ცუღლუტური მუშაობით ხელში ერთ-ორ გროშს ჩაგდებენ ხელში, მაშინათვე ტყვიასავით სამიკიტნოსკენ გარბიანო. ლოთობა-გარყვნილობის და აურზაურის გარდა არაფერს ჰმატებენ ჩვენ სოფელსა და თუ, მაინც და მაინც, იმ ნაჭერ მიწისაც ჩვენვე არ მოგვცემენ დამატებით ნადელათ, არც მიწა გვინდა და არც იმ 12 ოჯახობას მივიღებთო...

აი, მკითხველო, ერთი კიდევ აშკარა მაგალითი ჩვენი ბედოვლათობისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენ"... **გ. ახალციხელი.**

## მგზავრის შენიშვნები

ბორჯომის სადგურზე შუადღისას ჩავედი. არ ვიცი, მე ვგევარ სომეხს, თუ ყველა მგზავრს აწვალიან სომხურს, ეს კია მეეტლეები შემომეხვივნენ და დამიწყეს სომხურად ლაპარაკი. რას მეუბნებოდნენ, არაფერი მესმოდა, მხოლოდ ყველა მათგანი ხელში ათ შაურიან მიდებდა, ალბად ბეთ, რომ იმის ეტლში ჩავმჯდარიყავი, ვისაც ათ შაურიანს გამოვართმევდი. მე უკვე სამი ათ შაურიანი მედო ორივე ხელში. როგორც იყო, რუსულად გამაგებინეს, რომ ისინი ახალციხელი მეეტლეები არიან. ერთერთს მოვურიგდი და გავსწიე ახალციხისაკენ.

აქეთკენ ამ ჟამად ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულის პირია. მზე დგას, მაგრამ გრილა. ხალხი მთლად მინდორშია და გაზაფხულის ხვნა-თესვას შესდგომია. მთებზე თოვლი მოსჩანს. ძირს, როგორც ეტყობა, კარგა ხანია კარგი წვიმა არ მოსულა და ამიტომ ზამთრის ნათესების რწყვაა. ბევრი წილი უკვე მორწყულია.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი ცოტა რამეს წყლის არხებზე. ბორჯომიდან ახალქალაქამდის ას ვერსზე მეტი მანძილია. სოფლები აგრე რიგად ხშირი არ არის გზის პირას. მთებია, ღრე-კლდეები. მაგრამ მარჯვნივ გაიხედავ თუ მარცხნივ, ყველგან არხებსა ჰხედავ, ყველგან ღელეებზე ხის ღარებია წყლის გადასაყვანად. თვით შოსეზედაც არის ასეთი ღარი გადებული. მტკვარს, პოსხოვჩაის, ხერთვისის წყალს, ახალქალაქის მდინარეს თოფაროვანს, ყოველ ღელის ხევსა და წყაროს ხმარობს აქაური მცხოვრები აუარებელ სარწყავ რუების საშუალებით მოსავლის გასაუმჯობესებლად. აქაური ნათესს ღვთის ანაბარა არა სტოვებს და არ შეჰყურებს ცას, როდის გამომიგზავნის წვიმასაო. კარგი სამაგალითო სანახავია ქართლ-კახელ გლეხებისთვის ამოდენა სარწყავი რუები. ქართლისკენ ვიცი სოფელი, რომელსაც აქვს რუ და მინდვრებს კი არა რწყავს—მიწა დეიჩევა მორწყვასაო. მეორე სოფელი დუშეთის მაზრისა აი ათი წელიწადია ფიქრობს არაგვიდან რუის გაყვანას, მაგრამ ვერ გაუბედნია. სხვის შვილს ელის. ნეტა აჩვენა ამ სოფელს აქაურული არხები რვა ცხრა ვერსის სიგრძე, რომელიც თურმე ორსამ კომლს გამოუყვანია. ზემო ნახსენებ სოფელში კი ას-ოც კომლამდის ითვლება მცხოვრები, არხიც ამაზე მეტი მანძილისა არ გამოვა, მაგრამ ვერა მოუხერხებიათ-რა. დიახ, აქეთ მოცადინე ხალხი ყოფილა, იტყვის ყოველი მგზავრი, მარტო ამ რუებსა და არხებს რომ დაინახავს...

ეტლების პირველი დასასვენებელი სოფელი აწყურია. სოფელი ქართველ მაჰმადიანებით არის დასახლებული. ქართულად აქეთ აღარ ლაპარაკობენ. ხნიან ხალხს იმდენად დაჰვიწყებიათ ლაპარაკი, რომ თარჯიმანია საჭირო. გურგენიძე ვარო,—სთქვა ჩემმა მოსაუბრემ;—მოლები დიდი ხანია ქართველები აღარა გვყავნან და ამიტომ დაგვავიწყდა ქართულიო. ახალციხიდან მოკიდებული ვიდრე ახალქალაქამდე საქართველოს ელფერი მეტად ნაკლებია. თითო ოროლა კაცი შეგხვდება მგზავრს, რომელსაც შეიძლება ქართულად გამოელაპარაკო. ესენიც [illegible] გელაპარაკებიან, თითქოს ოსმალო ან სომეხიაო.

რუსთავის სადგურზე სადგურის უფროსს ლაპარაკი ჩამოუგდე ამ მოვლენაზე. იქვე იდგნენ სოფელ ასპინძიდან ქართველი მაჰმადიანები. ჯეელები გაკვირვებით შემოგვყურებდნენ, მოხუცი კი, რომელიც გვარად კაციაშვილი (კაცია-ოღლი) გამოდგა, ლაპარაკში ჩაერია. სადგურის უფროსი ახალ ქალაქელი ბერძენია, მაგრამ თავს ქართველებიდან არ არჩევდა.

„აი ასპინძით,—სთქვა მან:—მთლად ქართველ მაჰმადიანებით არის დასახლებული, მაგრამ ქართული ლაპარაკი სულ დაჰვიწყებიათ, მაშინ როდესაც ოთხ ვერსზე მდებარე სოფ. ხერთვისში მშვენივრათ შენახულა ქართული ენა. ამისი მიზეზი ჩვენი მღვდლები არიან. ბატონო, არავის კადრულობენ, ხმას არავის გასცემენ, ლოთობენ და თავი ისე უჭირავთ, თითქოს უცხონი უცხო ქვეყანაში მისულანო. ამათი მოლები კი სულ სხვანაირი ხალხია. ისინი დღე და ღამე მრევლში ტრიალებენ, ემუსაიფებიან, უხსნიან ყორანს, ხან ეჩხუბებიან, აგინებენ და ეგინებინებიან კიდეც. ამისთანა ცხოვრებამ მოლისამ ხალხთან ჩემს ხსოვნაში ასპინძლებს ქართული სრულებით გადაავიწყდათ".

სკოლა ჰქონიათ ასპინძაში. იქაც რუსი მასწავლებელი დაუნიშნიათ და სუყველაფერი რუსულად ისწავლება თურმე. კაციაშვილმა მითხრა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენთვის უკეთესია ქართული წერა-კითხვა იყოს ამ სკოლაში, „ურუსულს" ვერ ვიყენებთ, აქ „ურუსი" არავინ არ არისო. წინად ქართველი მასწავლებელი იყო და მალე გადაიყვანეს, ისიც არ გვასწავლიდა ქართულსაო.

სოფელი ხერთვისი მდებარეობს

# ქართველ სტუდენტობისადმი

ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა ჩვენს სამშობლოს არეზე კულტურული მუშაობა ჩაჰკლა, ჩაანელა. თითქოს წყვდიადს მოუცავსო,— არავინ გაჰკივის მეხურად, არავინ მოუწოდებს მეზობელსა თუ შორეულს სამუშაოდ. გზა დაქსაქსულნი ერთი მეორეს ვეღარა ვცნობთ. მეზობლისა არა გაგვიგიარა. ყველას თითქოს თავის კოხისთვის მიუშურებია და იქ უსაქმო-საქმიანობით ინუგეშებს თავს, მცონარეობას მისცემია. მბჟუტავი წერტილიც-კი არსაიდან მოსჩანს სამშობლოს გადაფარებულ „მწუხრის ზეწარზე", რომ კაცმა დაღალულ-დაქანცული გონება შეასვენოს და ანუგეშოს.

ასეთია უნუგეშო სურათი ჩვენი ცხოვრებისა. მაგრამ ოცნება, ეს მაცდური და მატყუარა, მაინც ჩაგჩურჩულებს: ნუ დაჰყრი ფარ-ხმალს, მოუხმე, იქნებ გაგიგონონ, იბრძოლე, ფრთა ჩაჩეხილი იქნებ ფონს გახვიდეო,—აი ამითი ნუგეშინობს უნუგეშობა გულგატეხილ კაცისა. სწორედ ამაზეა გამოჭრილი ხალხური ბრძნული თქმულება: ამისთანა ნუგეში ნუგეშთა შორის აბრათ უნდა ჩაითვალოსო. და ეს ოცნების ნუგეში გვასულდგმულებს და იმედი გვესახება მისით გულში.

აი, ახლაც გვინდა შორეულსა და მახლობელს მოუწოდოთ და მიუთითოთ იმ საგანზე, რომელიც არა ერთხელ აღნიშნულა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, საგანი რომელიც ელის ყველას ხელის გაწვდენას, ვისაც ოდნავ მაინც კიდევ უცემს გული სამშობლოსადმი, ხალხისადმი; ვინც ჰლამობს თავის ხალხის ბედსა და უბედურებას რამე წამალი დასდოს, რითიმე ემსახუროს და ხელი შეუწყოს მის გათვითცნობიერებას.

პირადად ჩვენ მუდამ გვწამდა, რომ დადგება დრო, როდესაც ვეცდებით ხალხის ცხოვრებაში ჩვენი ძალისა და დიდების ძიებას და აღმოჩენას; იმ ცხოვრებაში, რომლიდანაც ათას ნაირი შტოა დაქანებული დიდ ოკეანესაკენ, სადაც იკრიფება ხალხის ყველა ნაირ სულიერ შემოქმედების ძალა და რომელსაც უწოდებენ კულტურას. ვინ იცის, ამ შტოთა უფსკრულში რა სიმდიდრეა ჩამარხული, ვინ გვეტყვის, რას და რის მოწამეა იგი? იმ ხალხში, სადაც სიბნელე სინათლით დათრგუნვილა და შეგნებულ არსებობის საჭიროებაზე პილატესავით მამულისშვილებს ხელი არ დაუბანიათ, ადვილად მივიღებთ პასუხს ყველა ამ კითხვაზე. ჩვენში კი სულ სხვანაირად აიწონდაიწონება საგანი. იქ მრავალი საზოგადოება ზრუნავს ხალხის ცხოვრების მრავალფეროვნობის შესასწავლად, მრავალმხრივობის მიზეზების გამოსაკვლევად, აღსანუსხავად. ჩვენში არა თუ საზოგადოებები არ არსებობენ, კერძო პირებსაც კი თითს ვერ გაანძრევინებ ამ საზოგადო საქმისთვის. იქ ყველა წევრი საზოგადოებისა დარწმუნებულია, რომ ხალხის შემოქმედების ამა თუ იმ დარგის კვლევა-შესწავლა საპატიო საქმეა, ასეთ შესწავლას კულტურული მნიშვნელობა აქვს, ჩვენში კი ასეთი საქმიანობა და ამ საგანზე სჯა-ბაასი ბევრის ღიმილსაც იწვევს და, თუ საგნისადმი ცოტა რამ გატაცებაც გამოიჩინე, მაშინ ჰკუა ნაკრავადაც მოგვნათლავენ.

თუ ასე არ არის, მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ წელიწადი წელიწადს მისდევს ერთისა და იმავეს მტკიცებაში და არსებითად კი ჩვენი ხალხის სულიერ ნაწარმოების შეკრება-შესწავლაში არაფერი არ გაკეთებულა. რასაკვირველია, აიხსნება იმითი, რომ ჯერ კიდევ საჭიროა დაგვიმტკიცოს ვინმემ ამ ნაირი უსაჭიროესობა ჩვენი ერის ცხოვრების შესწავლისა და დაგვარწმუნონ ამ შესწავლის კულტურულ მნიშვნელობაში. ერთიცა და მეორე საშუალებაც მეტია ამისთანა პირთათვის, რომელნიც ამ ნაირ ჩვენებაში ეძიებენ განკურნებას თავიანთ სიდუხჭირისა და უბადრუკობისას. ხალხის დაქვეითების წამალი ყველგან სხვა გზით მოუძებნიათ: იგი შეუქმნია მხოლოდ საზოგადოების ერთსულოვან მუშაობას სხვა და სხვა დარგში.

დღეს ჩვენ დაქვეითებასაც ამისთანა ერთსულოვანი მუშაობა ეჭირვება იქ, სადაც ეს აუცილებელ გარანტიად ხდება ხალხის გათვითცნობიერებისათვის. ამ ერთსულოვანმა მუშაობამ უნდა ააგოს იმისთანა ძეგლი, რომელმაც უკვდავ უნდა ჰყოს ჩვენი ხალხის სახელი შემდეგშიაც კი...

ჩვენი ერის სულიერ ცხოვრების გამომხატველ მრავალ შტოს შორის არის იმისთანა სამოღვაწეო ასპარეზი, სადაც დარაზმული, ხელის-ხელ ჩაკიდებული შრომაა საჭირო, სადაც არ მოითხოვების არც ოქრო და არც ვერცხლი, ოღონდ კი ჰქონდეს კაცს სურვილი ხელი წაატანოს ეროვნულ საქმეს. ეს ასპარეზია ხალხურ ლექსთა-თქმულებათა შეკრება-ჩაწერა. ყველა დაგვეთანხმება, რომ ხალხურ გადმოცემათა შეგროვება არ მოითხოვს არც წყალსა და არც პურს და ამის გაკეთება შეუძლიან ყველას, ვინც სოფლად არის და იცის ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა. აი, ამ ცოტა რამით აღჭურვილმა გულს უნდა დაისახოს, რომ დიდ საქმისადმი ცოტაც რამ მიძღვნილი საისტორიო შენობად გარდიქცევა.

მაგრამ ქართულ წერა-კითხვის მცოდნეთა შორის ჩვენა გვსურს გამოვყოთ ერთი ჯგუფი და აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ ჯგუფმა უნდა იდვას თავს ხალხურ სიტყვიერების შეკრება. ჩვენ ვგულისხმობთ ქართველ სტუდენტობას. მას ხელს უწყობს სწავლაც, შეგნებაც და ღირსეულად მინიჭებული სახელი, ის იმედი, რომელსაც ქართველი ხალხი ამყარებს მასზე, თითქოს მოვალეთაც ჰხდის, ამ საქმეს მან ჩაჰბეროს სული. ასეთ მუშაობისათვის საუკეთესო დროც არის; ახლოვდება ის დრო, როცა ქართველი ხალხის საუკეთესო ძალნი დაუბრუნდებიან შორეულ რუსეთიდან თავიანთ სამშობლოს და გაიფანტებიან მთასა და ბარში. და იქ, როდესაც მიაშურებენ თავიანთ სახლსა და კარს, ნუ დაივიწყებენ, რომ იქვე მეზობლად მიწურ ქოხში თუ ოდაში სცხოვრობს ქართველი გლეხი, შემქნელი ჩვენი ისტორიისა, მომნიჭებელი აი ამ სულიერ სიმდიდრისა, რითაც ეხლა ვსარგებლობთ. აქ ამ ხალხის ცხოვრებაში ზვინივითა ძევს ის აუარებელი, ჯერ კიდევ არვისაგან ამღვრეული და ხელ-უხლებელი შემოქმედება, რომელიც გარდმოიცემა სხვა და სხვა სახით: სიმღერით, ლექსით, ანდაზით, ზღაპრით, თქმულებით და სხვათი. რა ესაჭიროება მის შეკრებას? მხოლოდ ის, რომ შეგნებულმა ქართველმა სტუდენტობამ არ დაივიწყოს თავისი მოვალეობა და გულს იდვას, რომ ამ მოვალეობას გარდახდა უნდა, კეთილ სურვილს ცხოველი ფრთა უნდა შეესხას, სიტყვა საქმედ უნდა იქცეს. იმ დროს, როდესაც სტუდენტები მშობელთა, ნათესავთა, მეგობართა ან ამხანაგთა შორის მოასვენებენ ჯანსა და ღონეს, გამოეხმაურნენ მეზობელ გლეხსაც, შეეკითხნენ მას თუნდ იმისთანა კითხვებით, რომელთა პასუხიც თითონ უფრო აინტერესებთ. ჩვენ ეჭვიც არ გვებადება, რომ ამათ პასუხში ჩვენთვის ჯერ კიდევ ბევრი ახალი, უცნობი და გაუგებარი ცნობა იქნება მოთხრობილი. ყველა მისი ნათქვამი ან ნამღერი უბრალო ნაბიჭვარივით კი არავის ეგონოს შობილი! საქართველოს და მის მოამაგე შვილებს ბედი მაინცა და მაინც ეგრე რიგად არ ულიმოდათ; მათ თავზე რამდენიმე საუკუნემ ჰქა-ქუხილით გრიგალივით გადაიარა. ამ ხნის განმავლობაში სამშობლო ცა მრავალჯერ მოაგრაგნილა შავის ღრუბლებით და დედამიწა სისხლით მორწყულა. მაგრამ ღრუბლები გაფანტულა, ცხოველ-მყოფელ მზის სხივებს ისევ გაუნათებიათ არე და ტანჯვაში შობილი და სისხლში მონათლული ხალხი ფენიქსებრ ისევ განახლებულა, ისევ დაუწყვია ცხოვრება. აი ამ ისტორიულ მოვლენათა წარმოშობაში ქართველ ერს უმღერია და სიმღერაში ტირილიც ყოფილა და სიცილიც.

ჩვენის აზრით, რაკი სხვა რამ დაწესებულება არ მოგვეპოვება, ქართველმა სტუდენტობამ მხნედ უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი. კარგი იქნებოდა სტუდენტობას დაეარსებინა დროებით, თუნდა მომავალ სამი თვისთვის, რამე ორგანიზაცია, რომელიც მოაწყობდა ამ საქმეს ან წევრთა შორის ან ამ სამუშაოს გაანაწილებდა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქის ქართველ სტუდენტთა შორის.

როგორც ვიცით, საუნივერსიტეტო ქალაქებში არსებობენ ქართველ სტუდენტთა წრეები. იქნებ შესაძლებელი იყოს, რომ ამ წრეებს დაევალებინათ სამშობლოში მომავალ ამხანაგთათვის მიქცევისას წარედგინათ წრესათვის რამე მასალა ხალხურ სულიერ შემოქმედებისა. რასაკვირველია, ამ გზით მუშაობა ნებაყოფლობით უნდა იყოს ნაკისრი და ყოველნაირი მასალა დიდის მადლობით უნდა იქმნას მიღებული. აქ აღნიშნული ღონენი მხოლოდ გაკვრითი მოსაზრებებია; მოსაზრებები, რომელნიც, ვინ იცის, იქნებ პრაქტიკულად უხერხულიც და შეუძლებელიც იყოს. ეჭვი არ არის, თუ სტუდენტობა რამე გადაწყვეტილებას დაადგება, ის უკეთეს ღონესა და გზას გამონახავს,

კვლავ ვიმეორებთ: ხალხურ სიბრძნის ნაყოფს აუცილებლად პატრონობა ესაჭიროება. პატრონობა უნდა იკისროს წერა-კითხვის მცოდნე ყველა ქართველმა, რომელსაც უყვარს თავისი ერი, პატივით ეპყრობა იმის წარსულს და ნატრობს იმის კეთილ მომავალს. სხვებთან ერთად ამ საუნჯის პატრონობა უნდა თავს იდვას და მოვალეობათაც დაისახოს ქართველმა სტუდენტობამ. იგი ქირისუფლად უნდა გაუხ-

სწორედ იმ ადგილას, სადაც თოფარავანი მტკვარს ერთვის. აქ მეტად მიუდგომ კლდეზე ჯერეთ მშვენივრად შენახული ციხე სიმაგრე სდგას. მგზავრთ უკვირდათ ამ ციხის სიმაგრე და ქებით იგონებდნენ ჩვენ წინაპართ. ეხლა აქ სოფელი ხერთვისია, რომელიც ისევე მალე გადაგვარდება, როგორც ასპიძა.

სოფელ ხერთვისისა და მახლობელ სოფლების ბაღ-ვენახების დამუშავება-გაშენება აკვირვებს მნახველს. რაკი ახალქალაქიდან შეხვალ მტკვრის ხეობაში, ვიდრე ახალქალაქამდის, გზა ისეთ ღრე-კლდეზე მიდის, ფერდობები ისეთ ლოდკლდეებით არის დაფარული, რომ მნახველი იფიქრებს, სწორედ აქ მოიტეხს ეშმაკი ფეხსაო. მიუხედავად ამისა, მცხოვრებთ მიწის სივიწროვისა გამო, ბევრგან ეს ფერდობები მთლად გაუწმენდიათ ქვებისაგან, ამოთხრილ ლოდებისაგან კედლები ამოუყვანიათ და ფერდობები პატარ-პატარა ტერასებად გადაუქცევიათ, სადაც კი შემოსავლიანი ხეხილის ბაღები გაუშენებიათ. ადგილ-ადგილ ვენახებიც არის, მაგრამ ყურძენი თურმე ვერ ასწრებს დამწიფებას და ღვინო მეტად მჟავე დგება. მთების ამ გვარად დამუშავებას კაცი, მგონი, ჩვენში ალარსად შეჰხვდება. ჩემს მოგზაურობაში ამისთანა სანახაობა ვნახე დაღესტანში, სადაც უფრო მეტი მიწის სიძვირეა, ვიდრე სხვაგან სადმე. იქ, არა თუ ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი მთებია ტერასებად ნაქცევი და დამუშავებული, არამედ ნახავთ ნათესს ქვასა და ქვას შუა ერთ ნაბიჯ ადგილზე ქარისაგან მოტანილ მიწაზე.

ასეთი გულშემხუთავი სურათი მტკვრისა და თოფორავანის ხეობისა დამახასიათებელი არ არის ამ მდინარეების მიდამოებისა. ამ ფერდოებს რომ ასცდეთ, თვალწინ გადაგეშლებათ ახალქალქის უშველებელი მინდორი, რომელიც ზღვაზე 500 ფუტით მაღლა მდებარეობს და განთქმულია მოსავლით. შესანიშნავი მოსავლი იცის უფრო ქერმა. სიმინდს არა სთესავენ ამ ვაკეზე, რადგან ცივა და არ ხეირობს. მაგრამ, ვფიქრობ, ქართლული ჯიშის სიმინდი უსათუოდ იხეირებს, თუ აპრილის ბოლო ან მაისის პირველ რიცხვებში დაითესა. ძირს ხეობაზე კი სთესენ სიმინდს.

აქაურ ქართულ სოფლის მცხოვრებთ ვკითხე მიწის თაობაზე. მეტად ჩივიან სივიწროვეს. მოსული ხალხი ძალიან მრავლდება და სული გვეხუთებაო. ვინ არის ამათი ყურისმგდებელი? ღვთის ანაბარა არიან დატოვებულნი. მობუზულნი, ძონძებში გახვეულნი მეტად მწარე შთაბეჭდილებას ახდენენ. მალე მესხეთ-ჯავახეთზე შევცვლით ჩვენს აზრს, თუ კვლავ ასე უპატრონოდ, ასე უყურადღებოდ დავტოვეთ ეს მხარეები. ჯერეთ კიდევ გვიან არ არის. წ.-კ. გ. საზოგადოებასაც დიდი ასპარეზი აქვს აქეთ სწავლა-განათლების საქმეში. ზემოხსენებულმა ბერძენმა მითხრა—მე ცოლი ქართველი მყავს, მაგრამ ოჯახი უფრო სომხურად ვლაპარაკობთო. თვით ახალქალაქში მკვიდრი მცხოვრები სამი-ოთხი კომლი დაასახელეს. მოსამსახურე-ჩინოვნიკობა თითქმის სულ ქართველობაა. მიუხედავად ამისა, ეკლესიაში, მაგალითად, უფრო რუსული და მერე რანაირი რუსული წირვა-ლოცვა ისმის. საკვირველია, ღმერთმანი, ნუ თუ ქართულ წირვა-ლოცვისთვის ვინმე სდევნის მღვდლებს?

დასასრულ, არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ჩვენ საზოგადო პირზე. დღევანდელი ქართველი მოღვაწეები გაუტაცნია რაღაც დიდ გეგმებს, პატარა საქმიანობა არ ეხერხებათ და დიდი ფიქრებით მოცულთ-კი ფეხიდან ნიადაგი ეცლებათ. ვინ არ იცის, რომ ერი ძლიერი და გავლენიანი მაშინ არის, როდესაც სადმე მკვიდრი ბინა აქვს, როდესაც უცილობელი და მკვიდრი „შინა“ მოეპოვება. ქართველ ხალხისთვის, მიუხედავად ამისა, რომ დიდი ცხადი და ჩუმი მეცადინეობაა, მაგრამ ჯერ ვერ წაურთმევიათ სრულებით ეს „შინა“, ქართველი ჯერ შინა ჰგრძნობს თავს. მაშ უნდა გავნაგრდეთ შინ, ავაღორძინოთ სწავლა განათლება, მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა აქ და მაშინ სპარსელი, ოსმალელი ქართველებიც განიცდიან ჩვენის შინაურ კულტურის ძალას და შემოგვიერთდებიან. თუ აქ, შინ, ასე უბრძოლველად და უაჩრულად უთმობთ სხვას მამაპაპათა მიერ გადმოცემულ საკუთრებას და უფლებებს, დაგარწმუნებთ, სხვაგან ამაების პოვნა შეუძლებელია.

ლ. ბრაგველი.

---

დეს ამ საქმეს. მისი სურვილი ამ საგნის სამსახურისადმი ისეთი მძლავრი უნდა იყოს, როგორც მთით მოხეთქილი ღვართქაფი. ერთსულოვნობამ ამ მუშაობაში ყველა უნდა ჩაითრიოს და ჩააბას საფერხულოდ. მხოლოდ ამნაირ ერთსულოვან მუშაობას, სიყვარულით გამონაჭედს, შეუძლიან სასწაული დაბადოს,ააგოს იმისთანა ძეგლი, რომლის შელახვა არ შეუძლიან არც დროსა და ჟამს და არც ძალმომრეობას.

ერთ წამს წარმოიდგინეთ თქვენი თავი მწვერვალზე და გადაავლეთ იქიდან თვალი სხვა და სხვა დარგის სამოღვაწეო ასპარეზს ჩვენში: ჩამქრალი, ჩანელებული სურვილიც-კი. სასიქადულო გრძნობათა და ლტოლვილებათა სასაფლაო დაგესახებათ თვალწინ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ ამ ნაოხარზე უსაშინელესი სენი არ გვიქადდეს აღმოცენებას. ამ ბოლო დროს ჩვენში მძლავრად ფეხი მოიკიდა უსაქმოდ მიხლა-მოხლამ; ამან გამოიწვია ფანტაზიორობა, მაღალ და გაუგებარ სიტყვებით თავის შექცევამ მაშინაც-კი, როდესაც ეს არც არავისთვის არის საჭირო და არც დრო მოითხოვს ამას. მრავალნი დადიან „წიაწიასავით“ და ხან სადაეკეტებიან და ხან სად ენის ქავილის მოსაკლავად. ქუჩა, სასადილო,—აი სად წყვეტენ ერისა და სამშობლოს საბედისწერო საკითხებს. თითქოს გამოდის, რომ ამათ უნდა ასულდგმულონ საზოგადო აზრი, ამათ უნდა მოგვცენ ჰკვიანობისა, პატიოსნობისა და მამულიშვილობის მოწმობა...

დღეს ჩვენი სამშობლოს ჩამქრალ კერას და ჩვენ პირობებში მყოფ ერს სულ სხვანაირი მამულიშვილი ესაჭიროება. ამ მამულიშვილის მრწამსი, სხვა საკეთილო საქმესთან ერთად, კულტურული მუშაობა უნდა იყოს, სიტყვა საქმედ უნდა გარდაიქცეს. ხოლო ეს მუშაობა ხალხში უნდა იქმნას გადატანილი, იქ უნდა ეძიებდეს საგანს თავის დაკვირვებისასაც და გამოკვლევისასაც, ვინაიდან ერის გულშია სათავე მეცნიერებისაც და ხელოვნებისაც. განათლებულ ევროპას და იმის მამულიშვილებს ამ გზით მუშაობა სწამდათ და ამ ასპარეზზე მოღვაწეობისთვის მათ არას დროს არ უღალატნიათ, ზურგი არ შეუქცევიათ და ეროვნულ ნიადაგზევე აუგიათ ის ბრწყინვალე დიდება, რასაც დღეს ჩვენ შევნატრით.

ქართველი ერის ცხოვრება სისხლის ცრემლისა და სიხარულის ზღვას წარმოადგენს. მრავალ საუკუნის განმავლობაში ამ ზღვაში ინთქებოდა ხალხის სულიერ ცხოვრების შემონაქმედები. ეს ძვირფასი თვალ-მარგალიტი ეხლაც მრავლად არის გაბნეული ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში,—მთაში თუ ბარში. ქართველი სტუდენტობა უნდა ჩაეშვას ამ ზღვის ძირს და ამოილოს ის ძვირფასი განძი, რომელიც ბრწყინვალე ნათელს მოჰფენს განვლილსაც და ერის მომავალ სავალ გზასაც. იქნებ ერის ჭეშმარიტ მამულიშვილთა მუშაობასთან ერთად სტუდენტობის ამ გზით მოღვაწეობამ დაშრიტოს ბაზალეთის ცრემლის ტბა და ხილულად ჰყოს ის აკვანი, რომელშიაც ქართველი ერის თავისუფალი სული ჩაუარტახებიათ.

ა. კარგარეთელი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **სეირნობა და ლატარია ალეგრი.** 23 აპრილს მოხდა სხდომა წ.-კ. საზოგადოების გამგეობისა. როგორც ვიცით, 2 მაისს საზოგადოების სასარგებლოდ მუშტაიდში იმართება სახალხო სეირნობა და ლატარია-ალეგრი. გამგეობამ წევრთა შორის გაანაწილა სეირნობის მოსაწყობად მუშაობა. სეირნობაში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ტფ. საგიმნასტიკო საზოგადოების „სოკოლის“ წევრნი, 16 კაცამდე.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოების კრება.** კვირას, 25 აპრილისთვის, ტფ. ბირჟის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. ამ დღეს სასამართლო მოისმენს სიტყვებს ლ. ყიფიანისას, ვლ. ნაგურსკისას და მათ ვექილის არწრუნისას. შემდეგ განაჩენს გამოაცხადებს „პრესის სინდიკატის“ საქმის გამო. გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ კრებას.

✦ **შვილის გაყიდვა.** 22 აპრილს ყარსის ოლქის მცხოვრებმა, 16 წლის ყმაწვილმა ხაჩატურ კრიკოროვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ მამაჩემმა, სარიბეკ კრიკოროვმა, ჩემი 12 წლის და ორიმსიმე ტფილისში ჩამოიყვანა და 20 მანეთად მიჰყიდა თავის მეზობელს გმ. არუთინოვს, რომელმაც ბავშვს ძალით ნამუსი აჰხადაო. არუთინოვი და კრიკოროვი პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა დააპატიმრა და პასუხის გებაში მისცა.

✦ **გ. გედევანოვის იუბილეი.** 21 აპრილს მოხდა სხდომა გედევანოვის-მირალიანის საიუბილეო დღესასწაულის მომწყობ კომიტეტისა. კომიტეტმა დაადგინა, დღესასწაული გაიმართოს ტფ. სარტისტო საზოგადოების თეატრში. წარმოდგენილი იქნება თითო მოქმედება „ხანუმიდან“, „ტარტიუფიდან“ და „დაქცეული ოჯახიდან“. ბილეთები ეხლავე იყიდება.

✦ **გორის ვაჟთა გიმნაზია.** გორის ვაჟთა პროგიმნაზიაში ამ ჟამად ოთხი პროგიმნაზიული კლასია. სულ მესამე წელიწადია, რაც ეს სასწავლებელი დაარსდა და უკვე მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა. ბავშვები მოჰყავთ არა მარტო გორიდან და იმის მაზრიდან, არამედ ქუთაისის გუბერნიიდანაც. ჯერხნობით 165 მოწაფემდე სწავლობს პროგიმნაზიაში, აქედან 112 ქართველია, დანარჩენი სომეხი, რუსი, ოსი და სხვა. ამ წლის სექტემბრიდან გაიხსნება მეხუთე კლასი, ამნაირად თან და თან ყოველ წლობით თითო კლასი მიემატება, სანამ სრულ გიმნაზიად გადაიქცეოდეს. ამნაირად ვისაც სურს თავისი შვილი გიმნაზიაში მიაბაროს, საშუალება ეძლევა დასტოვოს შვილი გორში, სადაც შედარებით ნაკლები ხარჯია.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** წელს, როგორც ვუწყით, სახალხო უნივერსიტეტის მოქმედება მხოლოდ ლექციების მართვაში გამოიხატა, მაგრამ ეს საქმეც არ იყო რიგიანად მოწყობილი. ამიტომ მომავალ სეზონში საქმის საუკეთესოდ დასაყენებლად სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ საჭიროდ სცნო მოიწვიოს ტფილისელ ლექტორთა კრება, რომელთა რიცხვიც, როგორც გამგეობის მიერ შედგენილ სიიდანა სჩანს, 100 კაცამდე აღის.

✦ **გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“.** 10 წელიწადზე მეტია ტფილისში დაარსდა გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“, რომელმაც გონიერ ვარჯიშობის მსურველთა ყურადღება დაიმსახურა და წევრნიც ბლომად ჩაეწერნენ. საზოგადოების უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს გიმნასტიკის განვითარებას. საზოგადოება მართავს ლექციებს, სისტემატიურ კურსებს, გიმნასტიურ ვარჯიშობას, ექსკურსიებს, სეირნობებს, საბავშო გასართობებს და სხვას. ამას წინად მოხდა საზოგადო კრება საზოგადოებისა. კრებამ დაამტკიცა 1909 წლის ანგარიში. 1910 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებაში ითვლებოდა 4 საპატიო, 4 დამფუძნებელი და 177 ნამდვილი წევრი. წლის განმავლობაში იმართებოდა გიმნასტიური დღესასწაულები და ვარჯიშობანი. რამდენჯერმე სოკოლის წევრები გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში საექსკურსიოდ იყვნენ. კრებამ მიიღო 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაც. საზოგადოების შემოსავალი ნავარაუდევია 3863 მ. 61 კაპ.

✦ **რევიზია.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობის დავალებით ლ. ბოცვაძემ და პ. სურგულაძემ დაათვალიერეს საზოგადოების საგურამოსა და გიორგი წმინდის სკოლები. რევიზორებმა მოხსენებანი აღნიშნულ სკოლების მდგომარეობის შესახებ უკვე წარუდგინეს გამგეობას.

✦ **ექიმები.** ქალაქის სასანიტარო ექიმებათ, გარდა ზაბლუდოვსკისა და ექიმ-ქალის ფომინა ოსიპოვისა, რომელნიც დიდი ხანია ამ თანამდებობაზე არიან, გუშინ აირჩიეს ექიმები ნათიშვილი და მირაქოვი და ექიმი-ქალი მელიქ-შახნაზაროვისა. დიდუბისა და ავლაბრის საავადმყოფოების ორდინატორებად დანიშნეს შახაზიზოვი და ტერნიკოგოსოვი, ქალაქის სამშობიარო სახლის ორდინატორებად—შატელნიკოვი და დუდბაშიანი.

✦ **მისალოცი დეპეშა.** ჟურნალისტთა საზოგადოებამ გუშინ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში სრულიად რუსეთის მწერალთა მეორე კრებას.

✦ **სახალხო სახლი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამ დღეებში მოიწვიოს ტფილისის სახალხო სახლთან არსებულ ყველა სექციის წარმომადგენელნი. კრებას სამეურნეო საქმეებზე ექნება სჯა ბაასი.

✦ **ექსკურსიები.** ამ ზაფხულს კავკასიაში აპირებენ ჩამოსვლას დიდი ექსკურსიები სახალხო სკოლების სასწავლებლებისა. სულ ჩამოვა ოცი ჯგუფი; თითო ჯგუფში ორმოც-ორმოცი კაცი და ქალი იქნება. სხვათა შორის, ექსკურსანტები აპირობენ საქართველოს და ოსეთის სამხედრო გზების ფეხით გავლას.

✦ **ანდერძი.** როგორც ვწერდით, ახლა ხან გარდაცვალებულმა ა. ტიუნიზეკოვმა ქალაქ ტფილისს დაუტოვა დიდი სახლი, რომელიც წელიწადში იძლევა 4000 მანეთს. „ტფ. ლ.“-ს სიტყვით, ტიუნიზეკოვს წმინდა მოგება სახლისა უანდერძნია ღარიბ სომხებისთვის. ფული ყოველ წელიწადს იანვარში უნდა დარიგდეს და თვითეულ ღარიბს უნდა მიეცეს არა ნაკლებ 25 მანეთისა.

✦ **მაზრის უფროსის საქმე.** საქმე გორის მაზრის უფროსად ნამყოფის ბიქრაძისა, რომელსაც ჰბრალდება სამსახურის დროს სხვა და სხვა დანაშაულის ჩადენა, სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია მომავალ სამშაბათისათვის (ტ. ლ.).

✦ **არქეოლოგიური ინსტიტუტი ანში.** აკადემიკოსის ნ. მარრის წინადადებით, სამეცნიერო აკადემიამ გადასწყვიტა, დაარსოს ანში არქეოლოგიური ინსტიტუტი და ნ. მარრის მოხსენება ამის შესახებ, აგრეთვე პროექტი ინსტიტუტის წესდებისა და შტატებისა გამოუგზავნა კავკასიის ნამესტნიკს თავის აზრის გამოსათქმელად.

✦ **საავადმყოფო სვანეთში.** ქუთაისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა 25,242 მანეთის გადადების შესახებ სვანეთში, ბეჩოში საავადმყოფოს გახსნის შესახებ.

✦ **წარმომადგენელნი მრეწველთა კრებაზე.** შავი ქვის მრეწველთა მომავალ კრებაზე გზათა სამინისტრომ თავის წარმომადგენლად დანიშნა მოძრაობის უფროსი ინჟ. ბუტენკო, ხოლო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ—საკომერციო ნაწილის უფროსის თანაშემწე ი. მაჭავარიანი.

✦ **მოსწავლეთა ხელ-საქმის და ნახატების გამოფენა.** ქალთა პირველ გიმნაზიაში გამოფენაა სხვა და სხვა სასწავლებლის მოწაფეთა ხელსაქმის და ნახატებისა. საზოგადოების ყურადღებას იქცევს ამავე გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფის მ. ზანისის ნახატები და მეშვიდე კლასის მოწაფის ს. თარხნიშვილის ნახატები ფაიფურზე და ხეზე. მართლა საუცხოვოა ამ უკანასკნელის ნახატები.

✦ **საცდელი მინდორი.** კავკას. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას განუზრახავს ავლაბრის მახლობლად იჯარით აიღოს ქალაქის მიწა და მოაწყოს იქ საცდელი მინდორი. ამ მინდორზე დაითესება ისეთი მცენარეები, რომელნიც მორწყვას არ საჭიროებენ.

✦ **ფრინველების გამოფენა გორში.** რუსეთის საუკეთესო ჯიშის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების განყოფილებამ 23 აპრილს გორში მოაწყო ფრინველთა გამოფენა. გამოფენა იქნება დღესაც და ხვალაც. თავჯდომარე განყოფილებისა ბ. ა. ი. დრბოგლავი წაიკითხავს რამდენსამე ლექციას ფრინველთა მოშენების შესახებ. ვინც მოისურვებს, იქვე შეუძლიან შეიძინოს საშენებლად საუკეთესო ჯიშის ფრინველნი და ყოველნაირი ჯიშის კვერცხები პირიანად. ამ სამი დღის განმავლობაში მსურველებს საშუალება მიეცემათ მიიღონ დარიგება, ახსნა და განმარტება ქათმების და სხვა ფრინველთა მოვლა-მოშენებაზე. ცხადია, ამ ნაირ გამოფენას დიდი მნიშვნელობა ექნება იმათთვის, ვისაც ეს სასარგებლო საქმე აინტერესებს და იმათთვისაც, ვინც შემდეგში ხელს მოჰკიდებს ფრინველთა მოშენებას. რა თქმა უნდა, სასარგებლოა საუკეთესო ჯიშის ფრინველთა გამრავლება, გავრცელება და მერე ამ ფრინველის და მის კვერცხების ბაზარში გატანა თუ ამ საქმეს სოფლად მცოდნე და გულშემატკივარი კაცი აღმოუჩნდა და კარგად წაიყვანა საქმე, ბევრი სოფლის ოჯახი ცხოვრების ახალ სახსარს გაიჩენს. შეგნებულმა ელემენტმა ყოველნაირი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ სოფლელები, როგორც კაცები, ისე ქალები, მრავლით დაესწრნენ ამ გამოფენას.

✦ შამხაროვის სახელობის ქალაქის სტიპენდია ტფ. სასკოლო კომისიამ დაუნიშნა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს გლახ. ბახტაძეს.

✦ გორის ქუჩის შესახვევში მცხოვრებმა იაშჩენკოს ქალმა თავის საყვარელს ისკანდერ ამირხანოვს თვალებში კარბოლის სიმჟავე შეასხა. ამირხანოვი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. იაშჩენკო დააპატიმრეს.

✦ პოლიციამ 22 აპრილს დააპატიმრა გიორგი კრასნიკოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში. გაჩხრეკის დროს პოლიციის მე-4, 12, 10 და მე-2 ნაწილში დააპატიმრეს 54 უპასპორტო კაცი.

---

**შეცდომის გასწორება.** „დროების“ გუშინდელ ნომერში, „ექსკურსია უფლის ციხეში“ სწერია: „უფლის ციხე აშენებულია ქართლოსის მამის უფლოსისაგან“. უნდა იყოს: „აშენებულია ქართლოსის შვილის-შვილის უფლოსისაგან“.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **დამატებითი სესხი გიმნაზიის შენობისთვის.** საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ შესაძლებლად სცნო ქართულ გიმნაზიის შენობაზე დამატებითი სესხის გაცემა. შენობის სააშენებლო კომისიას მიეცა 31 ათასი მანეთი, რომლითაც შენობა იმდენად უნდა შეზადდეს, რომ შემოდგომაზე გიმნაზიის კლასების გადატანა შეიძლებოდეს.

✦ **სარევიზიო კომისია.** შავი ქვის მრეწველთა კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისია, ნამესტნიკის წარმომადგენელთან ბიბიკოვთან ერთად, ამ ჟამად ათვალიერებს მრეწველთა საბჭოს ანგარიშებს თავის მოხსენების წარსადგენად მომავალ კრებისადმი, რომელიც დაიწყება 26 აპრილს.

# მოწერილი ამბავი

**გორი.** აგერ ნახევარი წელიწადია, რაც კალანდაძემ გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მაგრამ ხალხი მეტად გულგრილად ეკიდება ამ სიმპატიურ დაწესებულებას. 1909 წ. პირველი ნოემბრიდან მიმდინარე წლის ორ აპრილამდე თვიურ წევრებათ ირიცხებოდა 35 კაცი. (14 ქალი და 21 კაცი). ამათგან მოსწავლე 15. ამ ხნის განმავლობაში გავიდა საკითხავად 270 რუსული წიგნი, ხოლო ქართული 41. წევრთა რიცხვი ეხლა მინიმუმამდეა დასული და ვგონებ მალე ბიბლიოთეკა-სამკითხველო იძულებული იქმნება შესწყვიტოს მოქმედება. ეს ციფრებიც გორელების უზრუნველობის მაჩვენებელია.

სამაგიეროდ ბანქოობამ, ნარდ—ლოტო—ბილიარდმა ფართო ასპარეზი ჰპოვა. იგი პირდაპირ სენად გადაიქცა. სად გინდა, რომ არ თამაშობდნენ, ვინ გინდა, რომ არ თამაშობდეს. წიგნის მაღაზია, სამიკიტნო, საწვრილმანო დუქნები, მაღაზიები საბანქო სახლებად აქციეს. ბ-ნ გალუსტოვის მაღაზიამ ხომ პირველის სახელი დაინარჩუნა. იგი სწორედ „ინტერნაციონალური სათამაშო სახლია“. აქ შეჰხვდებით რუსსაც, ქართველსაც, სომეხსაც, ებრაელსაც, ბერძენსაც, ექიმსაც, ვექილსაც, ფერშალსაც, „პედაგოგსაც“, მკერვალსაც, მიხასაც, გიგოსაც, ოჰანეზსაც, სიმონსაც. სადამო, დილა, შუადღე მათთვის ერთია. არაგჯერათ? ჩაიარეთ, როცა გსურთ სამეფო ქუჩაზე, შეიხედეთ მაღაზიაში და დაშერწმუნებით, რომ ეს მართალია. ტფილისის ქუჩაზე „სამთავრო“ განყოფილებაც არის, სადაც მთავრები იკრიბებიან მუდამ, ლაზღანდარობენ, ნარდს თამაშობენ, რასაკვირველია, ცოტა ნუნუასაც აუღებენ... უიმისოდ როგორ იქმნება—ქართველები არიან. ერთი სიტყვით, უგელაფერი უკუგდებულ იქმნა და წინა რიგზე წამოსკუპდა ლოთობა, არშიყობა, ბანქოობა, ჭორაობა...

ქალაქში გავრცელებულია სხვა და სხვა ავადმყოფობა. ხალხი მრავლად იხოცება.

ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენი „მამების“ საყურადღებოდ ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობაზე, უპატრონობა-უთავობაზე, მაგრამ მათ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, ერთი ყურით გაგონილი მეორე ყურში გაუშვიათ, დაწერილისთვის სათვალეებ ზემოდან გადაუვლიათ თვალი, გაუცინიათ და კვლავ ძველ მშვიდ, „უცოდველ“ ცხოვრებას მისცემიან. აღარ გინდა ერთსა და იმავეს დაუბრუნდე, მაგრამ გული არ გითმენს, როდესაც ჰხედავ დაუდევრობას. ქალაქის სანიტარული მხარე მეტად სუსტობს. რაღა ვთქვა განაპირა, ტალახებით დასახლებულ რაიონებზე, როდესაც შუა ქალაქში ისეთი ბინძური ადგილებია, რომ იქით კაცს გავლა ეზარება. შორს ნუ წახვალთ, მაგალითისთვის აიღეთ ახალი ხიდის მიდამოები. სხვა და სხვა საჭიროებისათვის გამვლელ-გამომვლელი მრავლად ჩერდება აქ, რის გამო ისეთი საძაგელი სუნი ტრიალებს, რომ გავლა შეუძლებელია. უარესია ტფილისის ქუჩაზე, ქალთა გიმნაზიის ეზოს უკან. მანდილოსანს სირცხვილით ვერ გაუვლია. ნეტავი თვით გიმნაზიელებს კი ესიამოვნებათ ეს საძაგელი სუნი? რატომ გიმნაზიის უფროსს არ შეატყობინებენ? ნუ თუ ქალაქის გამგეობას ვერ მოუხერხებია ერთ საერთო ფეხისადგილის გამართვა სადმე, რათა თავიდან აცილებულ იქმნას ასეთი უსუფთაობა? ამას გარდა, უცხოს, ვინც კი „გაბედნიერებულა“ ერთხელ მაინც გორში ყოფნით, კარგად ეხსომება აქაური მტვერი. ერთ გავლაზე სუდარ-ერთიანად გამოგატარებინებს ნათესავ-მეგობრებს. ქუჩებს არა რწყავენ, რის გამოც მტვრის ბუღი სდგას მუდამ ქუჩაში და მოსეირნენი უხვად ჰყლაპავენ მას. საჭიროა

სანიტარები ეხლავე შეუდგნენ ამისთანა ადგილების დასუფთავება-დაწმენდას.

ვინმე სანგანიძე.

---

**სიღნაღი**. ამ რამდენიმე დღის წინად სიღნაღში მომიხდა ყოფნა ორისამი დღით. საღამო ჟამზე, როდესაც ტფილისიდან ეტლები მოდიან, მივედი სადგურის სასტუმროს პატრონთან და ვკითხე, აქ ქართულ გაზეთებს ვინ იღებს გასასყიდად და ან სად ჰყიდიან-მეთქი. სასტუმროს პატრონს პირზე ნაღვლიანი ღიმილი მოუვიდა და მიპასუხა: „რასა ბრძანებთ, უმაწვილო, აქ გასასყიდად გაზეთი არავისაც არ მოსდის; თუ მოსდით რამდენიმე ხელისმომწერს წლიურად, აი როგორც მეო“. სწორედ გითხრათ, ამისთანა პასუხს არ მოველოდი: სიღნაღში, რომელიც კახეთის ნახევრის და მთელის ქიზიყის შუაგულად ითვლება, გასასყიდი გაზეთი არ იშოვებოდეს და არც საჭიროება იყოს მასში? ეს გარემოება სამწუხაროა იმ ადამიანისთვის, რომელიც ცოტათი მაინც ადევნებს თვალს ჩვენს დაავადებულს ყოფა-ცხოვრებას. ნუ თუ ამ დალოცვილ ქალაქში, ხალხი ისე ჩაფლულა პირად ცხოვრების ფიქრში, რომ არავის აინტერესებს, რა ხდება სხვაგან, თუნდ ისევ კახეთში, მხოლოდ ცოტა მოშორებით, ან ტფილისში, ან მთელს საქართველოში, ან რუსეთში და სხვა ქვეყნებში? და თუ აინტერესებთ, ნუ თუ ვერ მოუხერხებიათ მოაწყონ ისე, რომ ტფილისიდან გასასყიდად მოდიოდეს უოველ-დღე გაზეთები? საქმეს სულ ადვილად მოევლება. ერთმა კაცმა ან პატარა ჯგუფმა უნდა იკისროს ამ საქმის მოწყობა. გაზეთების გაყიდვა მოწყობილია ყველა ჩვენს პატარა ქალაქებსა და დაბაში, თელავში, გორში და სხვაგან და მარტო სიღნაღია გამოკლებული.

გამვლელი.

# ღია წერილი

## ავლაბრელ შეგნებულ პირთადმი, ეროვნების განურჩევლად.

„თავმა პირი მალა, პირმა თავი არ დამალაო“. ეს ანდაზა ზედ უდგება ჩვენს აწინდელ მდგომარეობას სარწმუნოების საქმეში. შესდიხართ ებრაელთა თორაში, გერმანელებისა და ფრანგების ტაძრებში, მაჰმადიანთა მეჩეთში და ყველგან კრძალულებაა, ღვთაებრივი წესიერება. შეიხედეთ ქართველთა, გინდ სომეხთ ეკლესიაში და გულ გასაგმირი სიბრიყვე-ხულიგანობაა... ყოველ რწმენის მიცვალებულს მოასვენებენ ადამიანურის პატივით; ქართველს და სომეხს კი, მეტადრე ავლაბარში, უბედურ უზრდელობით, სიბრიყვით. ყოველ სარწმუნოების სასულიერო პირს ეპყრობიან პატივით და უზრუნველ-ჰყოფენ შეურაცხყოფისაგან. ქართველი და სომხის მღვდელი კი ყოველ ნაბიჯზედ ითმენს ლანძღვას, შეურაცხყოფას. ხულიგანობა ამ ორი ტომის ნაძირალებისა აუტანელია, საზარალო და სავალალო... მჩატე ლიბერალიზმმა ლამის უკურნებელ სენს შეგვყაროს.

ყოველ დღიური ამის დასამტკიცებელ ფაქტების ჩამოთვლა ხალხის შეურაცხყოფა იქნება. მაგრამ ყველას დამალვაც მოქალაქობრივ გაბედულობის არ ქონვაა. ვისთვის არის ავლაბარში დაფარული ვაება ხულიგანთა ყაიდის მკვდართა დამარხვის დროს? ისინი მოაცოცებენ ცხედარს, სტანჯავენ კუბოს, უწესურ ტრიალით მიცვალებულს. ყველა ერიდება. თვით პოლიციაც იყუჟება... სამღვდელოება შუბლ-შეკრული ძლივს მიათრევს ფეხებს. ეკლესიის ეზოში, სადაც შიასვენებენ მიცვალებულს, გაისმის ლანძღვა, უშვერ სიტყვების ვარჯიში, იმართება კოქაობა, ყომარი... ეკლესიაში მხოლოდ მანდილოსანნი შედიან. გამოსვლის შემდეგ, ეზო ხშირად სავსეა ხოლმე ნარწყევით. საფლავისაკენ წასვენების დროს ქუდებით და პაპიროზებით ამოუდგებიან ხოლმე სამღვდელოებას და უხარიანთ სომხებს—რომ „ქართველი ტერტერა გავაჯავრეთო“, ქართველებს, რომ „სომხის ტერტერაო“... გაიგებენ ჯავრის წერააო, შუაღამისას კაცები პერანგისა და ამის ამხანაგის ამარას შემორბიან, ხოლო ქალები იუბკა-კოფტებისა და ხარხარობენ... ძარცვა სახლისა, გინება ხატებისა, სამღვდელოებისა ჩვეულებრივი მოვლენაა... ამიტომ 21 ამა აპრილს ჩემზე ძოლებული შეურაცხყოფა მოულოდნელი არ იყო ასეთ წრეში. როცა მივასვენებდით ვილაცების მიერ მოკლულ „ძმა ბიჭს“ არჩილა ფერაშვილს, ერთმა ნაძირალმა სილა გამარტყა თვალში. ამაზე უარესიც იყო შესაძლო ბრიყვთაგან, მაგრამ ეს მე არ დამაბრკოლებს. მე მუდამ მტერი და მებრძოლი ვიქნები, როგორც „ხულიგანობისა“, ისე იმ ბედშაობის, რაიც მოსპობის გზაზე აყენებს ხალხის მოქალაქობრივ ლტოლვილებას და ცხოვრებას. ამაში თქვენს დახმარებასაც ვთხოულობთ, არა მარტო მე, არამედ ყოველი შეგნებული მღვდელი ავლაბრისა. ნუ დივივიწყებთ, რომ ავლაბარი უბედური ოსტატია ჩვენი პროვინციისა: ბრიყვობა და სისაძაგლე აქედან გააქვთ უბედურთ ხურჯინებით, ყურმებით, ტანისამოსის კონკებით. დიდია თქვენი ინიციატივა ამ პატიოსან ბრძოლაში, იგი შეჰქმნის თვით ხალხის ინიციატივას, ამ დიად იარაღს კეთილისაკენ გზის გაკვლევისას...

მღვდელი ზაქარია გულისაშვილი.

# თეატრი და ხელოვნება

**სალიტერატურო დილა**. ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლამ პირველმა გაიხსენა მწერალ ქალის ეკატერინე გაბაშვილის ორმოცი წლის მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე. ოთხშაბათს, 21 აპრილს, ამ სკოლაში გაიმართა სალიტერატურო დილა და საღამო ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად. საღამოს გარეშენიც დაესწრნენ. უპირველესად უნდა ავღნიშნოთ, რომ დილასა და საღამოს მეტად გულწრფელი ხასიათი ჰქონდა და ამით ძალიან მოინადირა გარეშე დამსწრეთა გული. მოსწავლე ქალების სიხარულსა და აღტაცებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

დილა დაიწყო იმით, რომ ერთმა მოწაფემ წაიკითხა შანშიაშვილის ლექსი „სალამი“, მიძღვნილი ე. გაბაშვილისადმი. ესევე ლექსი იმღერა მოსწავლეთა გუნდმა. შემდეგ წაიკითხეს ადრესი იუბილიარისადმი. წაიკითხეს ლექსი პროზად ეკ. გაბაშვილისა „ნაკადული“, აგრეთვე „საახალწლო სურათი“.

მეორე განყოფილებაში იმავე მოწაფე ქალებმა წარმოადგინეს „მოულოდნელი საჩუქარი“ ეკატ. გაბაშვილისა. ბავშვები მშვენივრად მომზადებულნი ყვნენ. ყველანი მკვირცხლად და ცოცხლად თამაშობდნენ. ვაჟების როლებსაც მოსწავლე ქალები თამაშობდნენ.

მესამე სურათი შეიცავდა სიმღერებს და სცენებს. მოსწავლეთა გუნდმა, ბ-ნ ნატრაძის ლოტბარობით, შეასრულა ქართული სიმღერები. საზოგადოებას მოეწონა და რამდენიმე სიმღერა გაამეორებინა. მერე გაიმართა სიმღერაზე ცეკვა. ზოგი მოსწავლე ქალი გლეხურად იყო გამოწყობილი და სოფლურად თამაშობდა. ამ ტიპიურმა ცეკვამ ბევრი აცინა საზოგადოება.

დილამ და საღამომ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. თვით პატივცემული ეკატერინე გაბაშვილიც დაესწრო.

დამსწრე.

---

**ქართული თეატრი**. ხუთშაბათს, 22 აპრილს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. ეს პიესა მრავალჯერ აქვს ნახული ჩვენ საზოგადოებას და ამით აიხსნება, რომ დამსწრეთა რიცხვი შედარებით მცირე იყო. ყველამ თითქმის ზეპირად იცის „ღალატი“, ყველას უნახავს ესა თუ ის არტისტი ამ პიესაში და აბა ვინ წავიდოდა, მით უმეტესს, რომ არავინ მოელოდა „ღალატის“ დადგმაში დიდ ცვლილებების შეტანას. ვინც დაესწრო იმ აზრით, რომ ერთი მთლიანი შთაბეჭდილება გამოეტანა პიესიდან, იმედი გაუცრუვდა. იმედი გაუცრუვდა იმიტომ, რომ „ღალატის“ დადგმა კვლავ შაბლონური იყო. კვლავ თვალსაჩინოთ აკლდა მას რეჟისორის ხელი, კვლავ ანსამბლი სუსტობდა. თუ ერთი როლის შემსრულებელი ხელოვნურად გვირდგენდა ამა თუ იმ პირს, მეორე როლის შემსრულებელი საშინლად სუსტობდა, ისე სუსტობდა, რომ საზოგადოების სიბრალულს იწვევდა, ზოგში კი ბრაზსაც. მაგალითებსაც მოვიყვან. გაიანეს როლში გამოვიდა ქ-ნი ვიქტორელი. ვერ ვიტყვით, რომ ეს სულ ახალგაზრდა მოთამაშე უნიჭო იყოს, მაგრამ გაიანეს როლისათვის იგი მოუმზადებელი და შეუფერებელი იყო, გარდა გარეგნობისა. გულუბრყვილო ქალი ოთარ-ბეგისა, ნაზი, ფაქიზი გრძნობების პატრონი, მაგრამ ამავე დროს მხნე, გამბედავი, მონადირე გაიანე სრულიადაც არ იდგა მაყურებლის წინაშე. იქ მხიარული გოგონა იყო მხოლოდ, სუმხეტი და არა ამაყი გაიანე, ოთარ-ბეგის ასული, დიდებულის შთამომავალი. რუქაია იყო მეორე მსახიობი ქალი ქ-ნი კარგარეთელისა. მან ვერ წარმოგვიდგინა ვერც გაიძვერობა რუქაიასი, ვერც მისი პატივმოყვარეობა, ვერც ფლიდობა და ვერც მისი ვნებათა ღელვა, აღარ ვიტყვი არაფერს იმ ზღაპარზე, რომელსაც რუქაია უამბობს სოლეიმან-ხანს, რომელმაც ქ-ნ კარგარეთელის ასრულებაში სილამაზე და პოეზია დაჰკარგა.

სუსტობდა აგრეთვე ქ-ნი ნებიერიძისა—ისახარის როლში. ჩვენს წინ სამშობლოს მოყვარული, მისი დიდებისათვის და ხსნისათვის შვილის შემწირავი და „არა-რა“ ისახარი კი არ იყო, რომელსაც არც სიკვდილი აშინებს, არც ტანჯვა, არამედ უბრალო სოფლის დედა-კაცი, შავ სამოსელში გამოწყობილი.

ბ-ნ იმედაშვილს სოლეიმანი წარმოდგენილი ჰყოლია, როგორც მხოლოდ ფატალისტი მუსულმანი და ეს თვისება სოლეიმანისა მან ბოლომდის კარგად გვიჩვენა, მაგრამ მსახიობს სრულიად არ ეტყობოდა დესპოტიზმი საქართველოს ამაოხრებელისა, სიმკაცრე და სიმამაცე ინდოელთა და ქართველთა დამმარცხებელისა. არ აჩნდა არც გარყვნილება ჰარამხანასა და მხევლებს შეჩვეულ სპარსელისა. ამიტომ ძლიერ სუსტად გამოუვიდა იმედაშვილს ცნობილი მონოლოგი მეოთხე მოქმედებაში

ბ-ნი გუნია რაღაც უგულოდ თამაშობდა და ამიტომაც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. არა უშავდა რა სვიმონიძეს დათოს როლში, რომლისათვის მას ასეთი კარგი გარეგნობა აქვს, და ბ-ნ ივანიძეს საბა ბერის როლში. მოგვეწონა ბ-ნი გვარამე (ერეკლე), რომელმაც კარგად დაგვისურათა მეფის დეგენერატი შვილი, რომელსაც ანანიასთან აღზრდამაც არაფერი უშველა.

ჩვეულებრივად კარგი იყო ვ. აბაშიძე ბესოს როლში.

მე განზრახ არ მოვიხსენიე აქამდის პიესის ორ უმთავრესი როლის აღმსრულებელნი—ქ-ნი ჩხეიძე (ზეინაბი) და ბ-ნი გამყრელიძე (ანანია).

ქ-ნმა ჩხეიძემ ისეთი ნიჭი გამოიჩინა ამ საღამოს, ისეთი დაკვირვება და იმდენი გრძნობა, რომ უსასტიკესი კრიტიკოსი და რეცენზენტიც კი მის თამაშში მცირეოდენ ნაკლსაც ვერ ნახავდა. ქ-ნი ჩხეიძე შესამჩნევი ზეინაბია და ამასთან, რაც ცხადად ჰყო ამ საღამომ, მეტად ნიჭიერი და ჭკვიანი მსახიობია, ისეთი მსახიობი, რომელიც არა თუ ჩვენ ღარიბ სცენას, არამედ უცხოელების სცენაზედაც თვალ საჩინო ადგილს დაიჭერდა.

მეტად კარგი ანანია იყო ვ. გამყრელიძე. როდესაც ადამიანი პირველად წაიკითხავს „ღალატს“, მას ერთგვარი შთაბეჭდილება რჩება ამ შესამჩნევ ტიპისაგან, შთაბეჭდილება, რომელსაც პირველსავე ნახვაზე სცენაზე „ღალატისა“ აქრობს ანანიას როლის ამსრულებელი მსახიობი განსაკუთრებით ეს ემჩნევა რუს მსახიობს ანანიას როლი იმდენად მადლიანია არტისტისათვის და ამავე დროს იმდენად სახიფათოა, რომ ადვილი შესაძლებელია მსახიობმა გადაამლაპარაკოს. ბ-ნი გამყრელიძე კი ნამდვილი ანანურელი მამასახლისი იყო, სამშობლოსათვის თავდადებული, მაცი, მკაცრი და ამავე დროს მახვილ გონებისა და ლაზათიან სიტყვის პატრონი, ბ-ნი გამყრელიძე სწორედ ისეთი ანანია იყო, როგორიც წარმოდგენილი ჰყავს მკითხველს „ღალატის“ პირველ წაკითხვის დროს.

ნ. ჩხეიძემ და გამყრელიძემ დაგვარწმუნეს, რომ ჩვენი თეატრის მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, რომ მისი აღდგენა და სასურველ ნიადაგზე დაყენება შეუძლებელი იყოს. გოგოლისა არ იყოს: есть еще порохъ въ пороховицахъ.

№.

---

**ვასილ აბაშიძის ბენეფისი**. დღეისთვის ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ქართულ სცენის უნიჭიერესს მსახიობის ვასილ აბაშიძისა. როგორც ვიცით, სეზონის განმავლობაში ვ. აბაშიძე ავადმყოფობდა და ამის გამო ბენეფისი არა ჰქონია. დამსახურებულ მსახიობს კვლავ ექიმობა ეჭირვება და ამ ზაფხულს ამისთვის რამე უნდა იღონოს. დიდად სასურველია ამიტომ დღევანდელ ბენეფის ბევრი საზოგადოება დაესწროს და ამით ცალკე პატივი სცეს ნიჭიერ არტისტს და ცალკე დაეხმაროს კიდეც. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „გაკოტრებული აზნაური“, გადმოთარგმნილი თვით მობენეფისეს მიერ. მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

# ერთი ანდერძის გამო

(წერ. რედ. მიმართ).

დიდი მითქმა-მოთქმა გაისმის საზოგადოებაში იმის შესახებ, რომ განსვენებულმა, უეცრად გადაცვალებულმა ტეხნიკმა ვასილ ძოწენიძემ მთელი თავისი ქუთაისის ქონება წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა. გაზეთებშიაც იყო აღნიშნული ეს ამბავი, („დროებაში“ და „ფონში“) და გვაკვირვებს ძლიერ განსვენებულის მემკვიდრეების სიჩუმე.

სიჩუმე, გამიგონია, თანხმობის ნიშანი არისო. ალბად მართალი ყოფილა ხმებიც და გაზეთებში მოყვანილი ზოგიერთი ცნობაც. მე ჯერ არ შევეხები საკითხს არსებითად, მხოლოდ, რაკი მემკვიდრეები ხმას არ იღებენ, ვთხოვ ქუთაისის წ.-კ. გ. საზოგადოების განყოფილებას, გამოარკვიოს ეს საქმე. მე მზადა ვარ მივაწოდო განყოფილებას ზოგიერთი ცნობა ამ საქმის შესახებ.

ლ. მაღლაფერიძე.

# ოსმალეთი

## ალბანია და ალბანელთა მოძრაობა.

(დასასრული)

ალბანიის კულტურულ მოძრაობის მეთაურებად უნდა ჩაითვალნენ ბერძნები, რომლებიც ალბანიას ისე უცქეროდნენ, როგორც თავიანთ „მამა-პაპის“ ადგილს და საბერძნეთთან შეერთებას უპირებდნენ. ამავე დროს სამხრეთ ალბანიაში მოქმედება დაიწყეს ავსტრიელებმა, რადგან ალბანელები ბლომად და ხშირად დასახლდნენ ძველ სერბიაში, კოსოვოს ვილაეთში —აბდულ-ჰამიდი ხელს უწყობდა მათ გადასახლებას,—ხოლო ეს ვილაეთი სწორედ ავსტრიის პოლიტიკოსთა სანატრელ მიზნის—სალონიკისა და მდ. ვარდარის ველის-გზაზე მდებარეობს. ამასთანავე ალბანიას დასავლეთით აკრავს ადრიატიკის ზღვა, რომელიც ავსტრიას სურს თავის „ტბად“ გადააქციოს.

ხოლო ადრიატიკის ზღვას „ავსტრიის ტბად“ გადაქცევა ჭკუაში არ მოსდის იტალიას, რომელსაც მიუხედავად ავსტრიასთან კავშირისა, ჯერ არ დაჰვიწყებია ავსტრიის პატრონობის ქვეშ მყოფი იტალიელები და თითქმის თვალი უჭირავს ალბანიაზე. და აი იტალიელები შეუდგნენ კულტურულ-განმანათლებელ მოქმედებას იქვე, სადაც წინადაც მუშაობდნენ ბერძნები მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბერძნულ ენის მაგიერად იტალიელებმა ალბანურ ენაზე დაიწყეს სწავლება, რისთვისაც მათ შემოიღეს ლათინური ანბანი. ამავე დროს იტალიელი სამღვდელოება შეუდგა კათოლიკობის ქადაგებას ალბანიაში. მან ამ აზრით დაარსა ცალკე საზოგადოება, რომლის უმთავრესი გამგეობა იმყოფება რომში.

იტალიასა და ალბანიას შუა გაძლიერდა ადებ მიცემობა. ალბანურ ენაზე გამოიცა წიგნები, ბროშურები, გაზეთები, რომლებიც ცდილობდნენ ალბანელთა ეროვნულ თვითშეგნების გაღვიძებას. მოიგონეს და დიდების შარავანდედით შემოსეს კასტრიოტ-სკანდერბეგის სახელი. ალბანელთა მოძრაობას ყურადღება მიაქციეს აშერიკელმა მისიონერებმა, რომლებმაც კორიცაში დააარსეს ქალთა სასწავლებელი, სადაც სწავლობს ასი ალბანელი ქალი—ქრისტიანი და მუსულმანი. ეს სასწავლებელიც გახდა ერთ-ერთ კერად ალბანიის აღორძინებისა.

როდესაც დაიქუხა ოსმალეთის რევოლიუციამ და დაწესდა კონსტიტუცია, ეროვნული მოძრაობა ალბანელთა შორის უფრო გაძლიერდა. გაზეთების რიცხვმა იმატა, დაარსდა კლუბები; მოახდინეს ორი კონგრესი (ბიტოლსა და კორიცაში), მდიდრებმა დიდი ფული შესწირეს ალბანელთა განათლებისთვის. მოძრაობას ჯერ არ გამოსჩენია წამებული გმირები, მსგავსი ბერძენ რიგასისა,*) ან ბოლგარ ლევსკისა, მაგრამ ზოგიერთ ბოლგარ მწერლის აზრით, ალბანურ ენაზე კასტრიოტის შესახებ ლექსებისა და გარდმოცემათა დაბეჭდვას იგივე მნიშვნელობა აქვს ალბანელთა ეროვნულ მოძრაობისთვის, როგორც ჰქონდა ბოლგარებისთვის საუკუნოდ დაუვიწყარს მამა პაისის *) თხზულების გამოცემასო.

ალბანელთა შორის ეროვნულ თვითშეგნების გაღვიძებას, რასაკვირველია, მტრულად შეხვდა ოსმალეთის ახალმა მთავრობამ. ამ მოძრაობის წყალობით მოკლე მომავალში მეორე მაკედონია გაჩნდებოდა, ხოლო ახალგაზდა ოსმალებს ერთი მაკედონიაც საქმეს უჭირვებს.

მეორეს მხრით, ოსმალეთის ქვეშევრდომთა გასანათლებლად ახალგაზდა ოსმალთა მთავრობამ ყურადღება მიაქცია უსკუბისა და კოსოვოს ვილაეთებს და დაადგინა—იპეკში სრული გიმნაზია გაიხსნას, ხოლო პრიშტინსა, მიტროვიცასა და სხვა ქალაქებში ხუთკლასიანი გიმნაზიებიო, მაგრამ ამავე დროს განკარგულება მოახდინა (რამდენიმე ალბანელ დეპუტატის თაოსნობით), რომ ალბანიაში გავრცელებულ ლათინურ შრიფტის ნაცვლად შემოღებულ იქნას არაბული შრიფტიო. ამ განკარგულებას პროტესტით შეხვდნენ ალბანელები. საყურადღებო ისაა, რომ ლათინურ შრიფტს იცავენ და არაბულ შრიფტს ეწინააღმდეგებიან ჩრდილოელი ალბანელები—გეგები—სარწმუნოებით მუსულმანები. ახალ მძიმე გადასახადების შემოღებას, მაზარ-ბეგისა და ზოგიერთ სხვა მოხელის სასტიკ მმართველობას, რეაქციონერების წაქეზებას და კიდევ სხვა მიზეზებსაც ჰქონდათ, რაღა თქმა უნდა, გავლენა ალბანელთა მოძრაობაზე, მაგრამ ყველა ეს მიზეზი საკმაოდ ვერა ჰხსნის, როგორც მგონია, ალბანელთა აჯანყების სიდიდესა და გამწვავებას. ალბანელების აღელვებას აგრეთვე ის გარემოება, რომ ოსმალეთის მთავრობა ლაპარაკობს სერბიის მეფის ... ... უკანასკნელებით; მათ არც თუ „ბალკანეთის ფედერაციაზე“ ლაპარაკი მოსდით ჭკუაში...

ის 60 ბატალიონი ქვეითა ჯარი შესაფერ არტილერიით, რომელიც ეხლა გაგზავნა ახალგაზდა ოსმალთა მთავრობამ ალბანიაში, უეჭველია, თავისას გაიტანს; ამას მოჰყვება სამხედრო-საველე სასამართლოების მოქმედება და ალბანია „დამშვიდებულ იქნება“. მაგრამ, როგორც მკითხველმა უკვე იცის, ალბანიაში ამ ჟამად გამოკვანძულია ისეთ ნაირ-ნაირი, ჭრელ ინტერესების კვანძი, რომ მისი „დამშვიდება“ ხანგრძლივი არ იქნება და ალბანია ამ მოკლე მომავალში, ალბად, დიდ ისტორიულ როლს შეასრულებს“.

---

*, ბერძენთა პოეტი კონსტანტინე რიგასი, ავტორი ბერძენთა «მარსელიეზასი», მე-18 საუკუნის გასულს შეეცადა საზოგადოების დაარსებას საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად. იგი ავსტრიელებმა დაატუსაღეს ქალ. ტრიესტში და გადასცეს ოსმალებს, რომლებმაც იგი 1798 წელს ქალაქ ბელგრადში დახვრიტეს თოფით.

*) თავისუფლების მესაძღვებლად ბრძოლის მქადაგებელი ბოლგარი ლევსკი ოსმალებმა ჩამოახრჩეს 1873 წელს ქალაქ სოფიაში. იმ ადგილას, სადაც აღმართული იყო მისი სახრჩობელა, ამ ჟამად დგას ლევსკის მშვენიერი ძეგლი.

*) პაისი სამოკოველმა დასწერა წიგნი «ისტორია ბოლგართა ერისა, მეფეთა და ხიწმინდეთა». ეს წიგნი გამოიცა ბოლგარულ ენაზე 1762 წ., ძლიერ გავრცელდა ბოლგარიაში და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლგარიის აღორძინებისთვის.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., პებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—88)

---

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი**: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა**: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი**: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ვ, გეევსკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.

---

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

---

„სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა.

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

**წიგნი მეხუთე**

◆◀ **მიიღება ხელის მოწერა** ▶◆

**გიუი-დე მოპასანის**

თხზულებაზე.

წიგნი გამოვა ჩვეულებრივი ზომისა და ფორმატისა, მოთავსებული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფიული ცნობები. ამას გარდა წიგნის ტექსტი დასურათებული იქნება **დაახლოვებით 20 სურათამდე. წიგნი ხელის მომწერლებისათვის ეღირება 25 კაპეიკათ.** ცალკე გასასყიდად არ გამოვა.

ხელის მოწერა დაიწყება 10 აპრილს და გათავდება 10 მაისს. ხელის მოწერა მიიღება პროვინციაში ყველა აგენტებთან, ტფილისში—წერა-კითხვის მაღაზიაში, Нов. Рѣч. გოლ. პროსპ.—„ალიონის“ წიგნის მაღაზიაში და „სორაპნის“ სტამბაში. ვისაცა სურს წიგნი ფოსტით გამოიწეროს, მან უნდა გამოგზავნოს 40 კაპ. მარკა.

ადრესი ფოსტის: Тифлисъ, Т—во „Сорапань“. (8—5)




რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.